

MAIN POINT OF SUSPENDED SENTENCE AND PROBLEMATIC ASPECTS OF ITS IMPOSITION

Giorgi Gamkhitashvili

PhD student Faculty of law at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Invited lecturer Faculty of law at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Attorney

Email: ggamkhitashvili2@gmail.com

გიორგი გამხიტაშვილი

ABSTRACT

The main issue of the present article is the institute of conditional sentence, legal nature and the issue of its relation to punishment. It also analyzes problematic aspects of legal grounds of imposition of conditional sentence. First of all, it should be mentioned that the institute of conditional sentence with its essence and functional purpose represents one of the visible legal mechanisms of criminal justice policy liberalization which implying the execution of sentence and achievement of punishment purposes by exerting influence on the convicted person with a relatively less debilitating effect. Accordingly, conditional sentence seems to be a deterrent to the actual execution of the sentence, which represents alternative legal means for execution of sentence and achievement of purpose of punishment.

Types of conditional sentence and legal grounds of its imposition are also discussed in the article. In the first place, cases are analysed concerning the necessity of existence of Plea Agreement at the time of usage of conditional sentence. In this aspect, the article discusses the issues of interdependence of I part and other parts of Article 63 of Criminal Code. It is very important to determine whether Plea Agreement is necessary legal ground for imposition of every kind of conditional sentence.

Thus, the present article defines legal nature of conditional sentence and characteristics of legal grounds for its imposition in the presence of the institution of plea agreement.

KEYWORDS: Sentence, Execution, Conditioned

შესავალი

პირობითი მსჯავრის ინსტიტუტი წარმოადგენს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის რეალურად აღსრულებაში მიქცევის შეჩერების სამართლებრივ მექანიზმს, მსჯავრდებულის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების პირნათლად შესრულების პირობით. მსჯავრდებულის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში დანიშნული სასჯელი ითვლება აღსრულებულად, ხოლო მისი მიზნები კი – მიღწეულად შედარებით ნაკლები ნეგატიური ზემოქმედების ფორმით. ამდენად, პირობითი მსჯავრი ემსახურება დანიშნული სასჯელის არა პირდაპირი საშუალებით, არამედ შედარებით მარტივ ფორმებში ალტერნატიული, ნაკლებად მზღუდავი ზემოქმედების სამართლებრივი ინსტრუმენტებით აღსრულების მიზანს. ამრიგად, დანიშნულ სასჯელთან პირობითი მსჯავრის ორგანული კავშირის გამო მნიშვნელოვანია განისაზღვროს მკაფიო განმასხვავებელი ნიშნები ხსენებულ ორ ინსტიტუტს შორის. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ პირობითი მსჯავრი არ წარმოადგენს სასჯელის სახეს, არამედ იგი არის სასჯელის აღსრულების ალტერნატიული, შედარებით ღმობიერი საშუალება. პირობითი მსჯავრი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც შემაკავებელი ბერკეტი, ერთგვარი სამართლებრივი ფარი, რომელიც იცავს მსჯავრდებულს დანიშნული სასჯელის პირდაპირი აღსრულებისაგან და, შესაბამისად, მისგან მომდინარე მსუსხავი ეფექტისაგან. აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენებით სახელმწიფო მსჯავრდებულს სთავაზობს ერთგვარ შანსს, რათა იგი დაადგეს გამოსწორების გზას და განიმსჭვალოს სახელმწიფოებრივი მართლწესრიგისადმი პატივისცემით. აქედან გამომდინარე, პირობითი მსჯავრი წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის პირ-

ველი ნაწილით გათვალისწინებულ სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას. პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნების განსაზღვრის გარდა, ასევე მეტად მნიშვნელოვანია მისი დანიშვნის სამართლებრივი რეგულაციების ანალიზი. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით დღის წესრიგში დადგა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის პირველ ნაწილში 2006 წლის 28 აპრილს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, რომლის თანახმადაც სასჯელის პირობითად ჩათვლის აუცილებელ სამართლებრივ საფუძვლად განისაზღვრა მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების არსებობა. ამდენად, საინტერესოა საპროცესო შეთანხმება ყოველთვის წარმოადგენს პირობითი მსჯავრის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას თუ შესაძლებელია ცალკეულ შემთხვევებში სასჯელის პირობითად ჩათვლა სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით, საპროცესო შეთანხმების არსებობის გარეშე. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია სწორედ სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილების შინაარსის გათვალისწინების ფონზე, რომლებშიც მოცემულია ამავე მუხლის პირველი ნაწილისაგან განსხვავებული რეგულაციები. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, ხსენებული ნაწილები მიემართებიან და წარმოადგენენ 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შემზღუდავ ნორმებს თუ ისინი სრულად დისტანცირებულნი არიან პირველი ნაწილის სამართლებრივი მოქმედების არეალიდან. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, ნებისმიერი სახის პირობითი მსჯავრის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს საპროცესო შეთანხმების არსებობა თუ პირობითი მსჯავრის ცალკეული სახე შეიძლება დაინიშნოს საპროცესო შეთანხმების არარსებობის დროსაც, სახელდობრ, სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში. აქედან გა-

მომდინარე, სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის სტრუქტურისა და მისი ნაწილების ლოგიკური ურთიერთდამოკიდებულების გაანალიზების ფონზე, სტატიაში განხილულია პირობითი მსჯავრის სახეები და თითოეული მათგანის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები.

პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნება

პირობითი მსჯავრის ინსტიტუტის არსსა და მის ფუნქციურ დანიშნულებაზე მსჯელობისას, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია განისაზღვროს მისი როლი და ადგილი სისხლის სამართლის სისტემაში. ამ ასპექტში საინტერესოა პირობითი მსჯავრისა და სასჯელის ურთიერთმიმართების საკითხი, ვინაიდან პირობითი მსჯავრი, თავისი არსით, უშუალოდ დაკავშირებულია სწორედ სასჯელთან და მისი აღსრულების განსაკუთრებულ მექანიზმთან, რაც გამოიხატება, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში გარკვეული პირობების დაცვის შემთხვევაში, დანიშნული სასჯელის რეალურად, მისი პირდაპირი მოქმედების გზით აღსრულების შეჩერებაში. თუ მსჯავრდებული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ზედმიწევნით, კეთილსინდისიერად შეასრულებს სასამართლოს მიერ მისთვის წაყენებულ მოთხოვნებს, პირს აღარ გაუცოცხლდება დანიშნული სასჯელი და იგი გათავისუფლდება მისი რეალურად აღსრულების ვალდებულებისაგან.

ამდენად, ამ კუთხით, საინტერესოა, პირობითი მსჯავრი წარმოადგენს სასჯელის თავისებურ ნაირსახეობას თუ იგი სა-

ერთოდ ცალკე მდგომი სამართლებრივი ინსტიტუტია?

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერთა შორის არ არსებობს ერთიანი მიდგომა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ზოგიერთი მათგანი პირობით მსჯავრს მიიჩნევს სწორედ სასჯელის სახედ. აღნიშნული მიდგომის ერთ-ერთ მთავარ საფუძველს კი, თავის მხრივ, წარმოადგენს სწორედ კონკრეტული ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობა: „მეცნიერთა ნაწილი პირობით მსჯავრს მიიჩნევს სასჯელის სახედ. უფრო მეტად ეს იმ ქვეყნის მეცნიერები არიან, რომელთა სისხლის სამართლის კანონმდებლობით პირობითი მსჯავრი გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის სასჯელის ნაწილში“.¹

პირობით მსჯავრთან დაკავშირებით უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაში ასევე გვხვდება ერთგვარი შუალედური მიდგომა. მაგალითად, პროფესორი რიჩარდ რაისი აღნიშნავს, რომ პირობითი სასჯელი და სხვა საზოგადოებაზე დაფუძნებული სასჯელები წარმოადგენენ სარეზერვო სანქციების ნაირსახეობას, რომელთა მიზანია, ერთი მხრივ, წაახალისოს პრობაციის პირობების დაცვა და, მეორე მხრივ, მყისიერი რეაგირება მოახდინოს სასამართლოს მიერ დამნაშავესათვის დადგენილი პირობების დარღვევაზე, რაც გამოიხატება დანიშნული სასჯელის რეალურ აღსრულებაში.² ამრიგად, წარმოდგენილი მსჯელობით, პირობითი მსჯავრი მოხსენიებულია როგორც სასჯელის, ასევე სარეზერვო სანქციის ერთგვარ ნაირსახეობად. „იურიდიულ ლიტერატურაში დავა თვით ტერმინთან დაკავშირებითაც. უცხო ქვეყნების იურიდიული ლიტერატურიდან თარგმნის შემთხვე-

1 თოდუა, ნ. და სხვები, 2016. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში. თბილისი: მერიდიანი, გვ. 369.

2 S. Frase, R., 2019. Suspended sentences and freestanding probation orders in U.S. guidelines systems: A survey and assessments. გვ. 1. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://globccci.org/wp-content/uploads/2021/07/Suspended-Sentences-and-Free-Standing-Probation-Order-in-U.S.-2019.pdf>> [წვდომის თარიღი 28 მაისი 2023].

ვამი გამოყენებულია ტერმინი „პირობითი სასჯელი“, სისხლის სამართლის როგორც ძველი, ისე მოქმედი კოდექსი იყენებს პირობით მსჯავრს. რიგი ავტორების აზრით, უმჯობესია ტერმინი – „სასჯელის პირობით გამოყენებლობა“.³

ვფიქრობ, რომ აღნიშნული ტერმინი – „სასჯელის პირობით გამოყენებლობა“ ყველაზე უკეთ გამოხატავს პირობითი მსჯავრის ინსტიტუტის ფუნქციურ დანიშნულებას, ვინაიდან ამ დროს საქმე გვაქვს სწორედ დანიშნული სასჯელის რეალურად აღსრულების არგამოყენებასთან, რადგან პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში მსჯავრდებული არ ექცევა დანიშნულ სასჯელთან ორგანულად დაკავშირებული ნეგატიური, მსუსხავი ვალდებულებების ფარგლებში. ე.ი., მსჯავრდებული რეალურად არ განიცდის კონკრეტული სასჯელისგან მომდინარე მისი უფლებების შეზღუდვის ნეგატიურ ეფექტს. მაგალითად, როდესაც მსჯავრდებულს სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვლება პირობით, ამ შემთხვევაში მასზე არ ვრცელდება თავისუფლების აღკვეთის სასჯელის ნეგატიური შედეგი – მისი პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსება.

პირობითი მსჯავრი, თავისი არსით, უნდა განვიხილოთ როგორც სასჯელის აღსრულების ალტერნატიული მექანიზმი. პირობითი მსჯავრის გამოყენებისას დანიშნული სასჯელი აღსრულდება არა უშუალოდ კონკრეტული სასჯელიდან მომდინარე შეზღუდვების პირდაპირი ამოქმედების გზით, არამედ მსჯავრდებულისათვის, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში, სასამართლოს მიერ და-

წესებული კონკრეტული მოთხოვნების კეთილსინდისიერად შესრულების საშუალებით: „პირობითი მსჯავრის გამოყენებისას განაჩენი რეალურად აღსრულდება, თუმცა მსჯავრდებულის მიმართ გამოიყენება არა სასჯელი, არამედ სულ სხვა სამართლებრივი შედეგი ანუ პირობითი მსჯავრისთვის თანამდევით გამოსაცდელი ვადა და საჭიროების შემთხვევაში გარკვეული მოვალეობები. განაჩენის აღსრულებაზე მიანიშნებს ის, რომ პირობითი მსჯავრი იწვევს ნასამართლობას“.⁴ ამდენად, უნდა აღინიშნოს, რომ პირობითი მსჯავრი არ არის სასჯელის სახე, აღნიშნული უპირველესად გამომდინარეობს სწორედ სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლიდან, რომელშიც გათვალისწინებულია სასჯელის სახეები, პირობითი მსჯავრი კი სასჯელის რიგებში არ არის წარმოდგენილი. თუმცა, გარდა აღნიშნული მარტივი საკანონმდებლო მოცემულობით დადგენილი გარემოებისა, იურიდიულ ლიტერატურაში მოყვანილია მთელი რიგი არგუმენტები პირობითი მსჯავრისა და სასჯელის ურთიერთმიმართების საკითხებზე. აქედან გამომდინარე, განვიხილავთ რამდენიმე მათგანს, კერძოდ, „პირობითი მსჯავრის გამოყენებას აუცილებლად წინ უძღვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა, რომლითაც პირს უნდა დაენიშნოს სასჯელი და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება პირობითი მსჯავრის გამოყენება. პირობითი მსჯავრი სასჯელის სახე რომ იყოს, მაშინ გამოსაცდელ ვადაში დათქმული პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევდა პირობითი მსჯავრის გაუქმებასა და უკვე დანიშნული სასჯელის რეალურად აღსრულებას“.⁵

3 გვენეტაძე, ნ. და სხვები, 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). თბილისი: მერიდიანი, გვ. 392.

4 დვალაძე, ი., 2013. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 127.

5 თოდუა, ნ. და სხვები, 2016. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში. თბილისი: მერიდიანი, გვ. 370-371.

„პირობითი მსჯავრი უნდა პასუხობდეს იმ მიზნებს, რომლებიც მთავარი სისხლისსამართლებრივი ღონისძიების – სასჯელის წინაშე დასახული, მაგრამ ეს გარემოება არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ეს ორი, სრულიად დამოუკიდებელი იურიდიული ბუნების მქონე სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტი ერთმანეთზე დავიყვანოთ და იდენტურად გამოვაცხადოთ“.⁶ „პირობითი მსჯავრი უნდა მივიჩნიოთ სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების სპეციალურ ნაირსახეობად, რაც არ ნიშნავს პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას, რადგან ამ დროს მსჯავრდებულის მიმართ გამოიყენება სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების სხვა ღონისძიებები. პირობითი მსჯავრი თავისი ბუნებით აქცესორული ხასიათისაა, რადგან იგი სასჯელის დანიშნვის გარეშე ვერ ამოქმედდება“.⁷ „მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა დანაშაულისათვის აწესებს არა მარტო სასჯელს, არამედ სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების სხვა სახესაც, რომელიც იმავე მიზანს ემსახურება, რასაც სასჯელი“.⁸

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ საკანონმდებლო დონეზე გაწერილი არ არის პირობითი მსჯავრის მიზნები, უნდა მივიჩნიოთ, რომ აღნიშნული ინსტიტუტი უპირველესად წარმოადგენს სწორედ სასჯელის მიზნების ეფექტურად, შედარებით ნაკლებად შემზღუდავი ფორ-

მით, მიღწევის სამართლებრივ მექანიზმს. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „ვინაიდან პირობითი მსჯავრი მსჯავრდებულზე სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიებაა, წარმოუდგენელია, პირობითი მსჯავრს იგივე მიზნები არ ჰქონდეს, რაც სასჯელს. ამიტომ მიზანშეწონილია საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს პირობითი მსჯავრის მიზნები სასჯელის მიზნების ანალოგიურად“.⁹ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „პირობითი მსჯავრი არ უნდა გავიგოთ როგორც სასჯელის გადავადება, ვინაიდან სასჯელის გადავადება ნიშნავს იმას, რომ ობიექტურად არსებობს სასჯელის აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოება, რომელსაც არანაირი კავშირი არა აქვს პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციასა და სისხლის სამართლის მიზნებთან. სასჯელის გადავადებისას დანიშნული სასჯელის სამართლიანობა ეჭვს არ იწვევს, სასჯელის რეალურად აღსრულებლობა პროცესუალური პრობლემაა“.¹⁰

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი პოზიციის თანახმად, „პირობითი მსჯავრი არის სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც გულისხმობს მსჯავრდებულის მიმართ სასამართლოს მიერ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის პირობით არგამოყენებას, რა დროსაც მსჯავრდებულს უწესდება გამოსაცდელი ვადა, რომლის განმავლობაშიც მან არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული და უნდა შე-

6 ვარძელაშვილი, ი., 2016. პირობითი მსჯავრის დანიშვნა და გაუქმება. გურამ ნაჭყე-ბია – 75, საიუბილეო კრებული. თბილისი: მერიდიანი, გვ. 244.

7 დვალიძე, ი., 2013. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 128.

8 თოდუა, ნ. და სხვები, 2016. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში. თბილისი: მერიდიანი, გვ. 370.

9 დვალიძე, ი., 2013. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 128.

10 იქვე.

ასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობა“.¹¹ ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ პირობითი მსჯავრის ინსტიტუტის არსისა და ფუნქციური დანიშნულების ვიწრო ასპექტში, კერძოდ, მხოლოდ თავისუფლების აღკვეთასთან მიმართებით, განხილვა არ არის მართებული ვინაიდან, დღეს მოქმედი რეგულაციით, პირობითი მსჯავრის ინსტიტუტი მიემართება არა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას, არამედ სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლით გათვალისწინებულ სხვა ალტერნატიულ სასჯელებსაც.

„მოქმედი კანონმდებლობით პირობითი მსჯავრის გამოყენება შესაძლებელია ასევე ისეთ შემთხვევაში, როცა ძირითად სასჯელად დანიშნულია თავისუფლების აღკვეთაზე მსუბუქი სასჯელი (სსკ-ის 64-ე მუხლი). ამდენად, როცა დანიშნულია სხვა ალტერნატიული არასაკატიმრო სასჯელი, ასეთ შემთხვევაში ვერ ვიტყვი, რომ პირობითი მსჯავრი პირს აძლევს შესაძლებლობას, დანიშნული სასჯელი მოიხადოს თავისუფლებაში, რადგან დანიშნული სასჯელი ისედაც არაა დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან“.¹²

შესაბამისად, პირობითი მსჯავრის ინსტიტუტი გვთავაზობს არა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის, არამედ სხვა უფრო მსუბუქი სასჯელების სხვაგვარი აღსრულების მექანიზმსაც. მაგალითად, სავსებით შესაძლებელია, რომ სასამართლოს მიერ ძირითად სასჯელად დანიშნული ჯარიმა ჩაითვალოს პირობითად, რაც გულისხმობს იმას, რომ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში, დაკისრებული პირობების სათანადოდ შესრულების

შემთხვევაში, მსჯავრდებულს აღარ მოუწევს დანიშნული ჯარიმის რეალურად გადახდა. აღნიშნული კი წარმოადგენს ერთგვარ მასტიმულირებელ გარემოებას მსჯავრდებულისათვის, რათა მან თავისი კარგი ქცევით თავადავე უზრუნველყოს ჯარიმის გადახდასთან დაკავშირებული ნეგატიური შედეგის – ეკონომიკური დანაკარგის თავიდან აცილება. „ჯარიმა, გარკვეული დოზით, ეკონომიკურად „ასუსტებს“ მსჯავრდებულს, რაც პრევენციულად მოქმედებს მასზე“.¹³

პირობითი მსჯავრის ინსტიტუტი, როგორც სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო სამართლებრივი მექანიზმი, მსჯავრდებულს აძლევს დანიშნული სასჯელის რეალურად აღსრულებასთან დაკავშირებული პირდაპირი ნეგატიური შედეგების თავიდან აცილების ერთგვარ შანსს, მასზე დაკისრებული მოვალეობების პირნათლად შესრულების სანაცვლოდ. აღნიშნული ლიბერალური მიდგომა კი, თავის მხრივ, მამოტივირებელ ძალად იქცევა მსჯავრდებულისათვის, რათა მან, ერთი მხრივ, თავიდან აიცილოს სასჯელის რეალური აღსრულება (რომელიც, თავის მხრივ, ბევრად უფრო მსუსხავი ეფექტის მქონეა, ვიდრე პირობითი მსჯავრის დანიშვნის ფარგლებში მასზე დაკისრებული მოვალეობები) და, მეორე მხრივ, ზოგადად განიმსჭვალოს სამართლის ნორმების, სახელმწიფოებრივი მართლწესრიგის პატივისცემისა და დაცვისადმი. აღნიშნული კი, საბოლოოდ, სისტემურად ხელს უწყობს სასჯელის მიზნების ეფექტიანი აღსრულების.

„პირობითი მსჯავრის აზრი, მისი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ

- 11 ვარძელაშვილი, ი., 2016. პირობითი მსჯავრის დანიშვნა და გაუქმება. გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული. თბილისი: მერიდიანი, გვ. 245-246.
- 12 თოდუა, ნ. და სხვები, 2016. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში. თბილისი: მერიდიანი, გვ. 380.
- 13 დვალისძე, ი., 2013. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 43.

ჩადენილი დანაშაულის დროს კერძო და ზოგადი გაფრთხილების მიზანს სახელმწიფოებრივი ზემოქმედების გამოყენებით მივალწიოთ. ამავე დროს დამნაშავეს სასჯელი ავაცილოთ და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, სოციალური დახმარებაც გავუწიოთ“.¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში პირობით მსჯავრთან დაკავშირებით აღნიშნავს შემდეგ: „როცა ამა თუ იმ სასჯელის გვერდით განსაზღვრულია პირობითი მსჯავრი, მეცდომა იქნებოდა არ დაგვენახა მისი გავლენა ამ სასჯელის ყოფიერებაზე. კერძოდ, პირობითი მსჯავრის არსებობა იძლევა იმის გარანტიას, რომ შეიძლება არ მოხდეს სასჯელის გამოყენება მისთვის დამახასიათებელი ტრადიციული ფორმით. როცა პიროვნებას სასჯელის მოხდის ნაცვლად პირობითი მსჯავრი ეკისრება, ეს არაპირდაპირი გაგებით, სასჯელის შემსუბუქებაზე უფრო მეტი შეღავათის მაჩვენებელია“.¹⁵ ამრიგად, როგორც უკვე აღინიშნა, პირობითი მსჯავრის ინსტიტუტი, ასე ვთქვათ, განარიდებს მსჯავრდებულს სასჯელის რეალურად აღსრულებისაგან და ამ გზით თავიდან აცილებს სასჯელის პირდაპირი ფორმით მოხდასთან დაკავშირებულ ნეგატიურ პროცესებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ამავე გადაწყვეტილებაში მკაფიოდ მიუთითებს, რომ „კანონმდებელი ამ ნორმატიული დანაშაულის დანაშაულის სუბიექტს აძლევს შესაძლებლობას, თავიდან აიცილოს სასჯელი. გასათვალისწინ-

ებელია ის გარემოება, რომ პირობითი მსჯავრი არაპირდაპირ სასჯელთა სისტემის სივრცეშია. ის აქცესორული ხასიათისაა, ვინაიდან არ არსებობს პირობითი მსჯავრი სასჯელის გარეშე და ამ აზრით სასჯელის ერთგვარი თანამგზავრია. მისი დამოუკიდებელი შეფასება არ ხდება და ამიტომაც ვამბობთ, რომ გავლენას ახდენს სასჯელზე“.¹⁶

„პირობითი მსჯავრი არის სისხლის-სამართლებრივი ზემოქმედების დონის-ძიება, რომელიც მსჯავრდებულს აძლევს შესაძლებლობას, გამოსაცდელ ვადაში დაამტკიცოს, რომ მისი გამოსწორებისათვის არაა საჭირო დანიშნული სასჯელის რეალურად მოხდა და რომ ამისათვის საკმარისია პირობითი მსჯავრით გამოსაცდელ ვადაში დაწესებული სხვა მოვალეობების შესრულება“.¹⁷

პირობითი მსჯავრის დანიშვნის საფუძველი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლში 2006 წლის 28 აპრილს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე რამდენადმე შეიცვალა პირობითი მსჯავრის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს,

14 გამყრელიძე, ო., 2015. სისხლის სამართლის პრობლემები. მესამე ტომი. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 115.

15 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება (საქმე N 1/1/428,447,459). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=326>> [წვდომის თარიღი 08 ივნისი 2023].

16 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება (საქმე N 1/1/428,447,459). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=326>> [წვდომის თარიღი 08 ივნისი 2023].

17 თოდუა, ნ. და სხვები, 2016. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში. თბილისი: მერიდიანი, გვ. 380.

რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად¹⁸. საპროცესო შეთანხმება, თავის მხრივ, სისხლის სამართლის პროცესუალური ინსტიტუტია, რომლის არსიც მოცემულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლში, რომლის თანახმადაც, „სამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ბრალდებულის აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორის სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე“.¹⁹

ამდენად, საპროცესო შეთანხმების ერთ-ერთი საგანია სწორედ სასჯელზე შეთანხმება, რაც გულისხმობს პროკურორსა და ბრალდებულს შორის წარმართულ მოლაპარაკებას გამოსაყენებელი სასჯელის სახესთან, მის ზომასთან ან/და სასჯელის სრულად/ნაწილობრივ პირობით ჩათვლასთან დაკავშირებით. ეს უკანასკნელი გამომდინარეობს სსკ-ის 63-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან, რომელიც პირობითი მსჯავრის გამოყენების წინაპირობად ითვალისწინებს სწორედ პროკურორსა და ბრალდებულს შორის საპროცესო შეთანხმების ფარგლებში მიღწეულ მორიგებას გამოსაყენებელი სასჯელის მოხდის პირობების თაობაზე. ხსენებული 2006 წლის 28 აპრილის საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, პირობითი მსჯავრის დაკისრების საკითხი სასამართლოს გარეშე წყდება, ის პროკურორისა და ბრალდებულის შეთანხმების შედეგია.²⁰ ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე

მუხლის მთლიანი სტრუქტურა მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული, რაც, პირველ რიგში, გამოიხატება აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილისა და სხვა ნაწილების ურთიერთმიმართების ბუნდოვანებაში, რაც შემდგომში ქმნის სერიოზულ პრობლემას აღნიშნული ნაწილების ერთმანეთთან შინაარსობრივი კავშირისა და მათი ურთიერთთანხვედრის სწორად განსაზღვრის.

როგორც უკვე აღინიშნა, სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილი სასჯელის პირობითად ჩათვლისათვის აუცილებელ წინაპირობად განსაზღვრავს მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების არსებობას. თუმცა საინტერესოა, აღნიშნული სამართლებრივი დანაწესი ვრცელდება თუ არა პირობითი მსჯავრის გამოყენების ყველა შემთხვევაზე? ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, პირობითი მსჯავრის ყველა სახე არ არის მიბმული საპროცესო შეთანხმებასთან. ამასთან გამოჰყოფენ პირობითი მსჯავრის სამ სახეს: „პირობითი მსჯავრი, რომელიც ინიშნება საპროცესო შეთანხმების დადებისას (სსკ-ის 63-ე მუხლის 1-ლი ნაწილი); პირობითი მსჯავრი, რომელიც საპროცესო შეთანხმების გარეშე ინიშნება (სსკ-ის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილი); პირობითი მსჯავრი, რომელიც საპროცესო შეთანხმების დადების გარეშე ინიშნება და სასჯელის ნაწილის აღსრულებას ცვლის (სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი)“.²¹

აქედან გამომდინარე, საინტერესოა სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილით, საპროცესო

18 მუხლი 63, საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 22/07/1999, # 2287.

19 მუხლი 209, საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 09/10/2009, # 1772.

20 გამყრელიძე, თ., 2015. სისხლის სამართლის პრობლემები. მესამე ტომი. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 118.

21 დვალაძე, ი., 2013. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლის სამართლებრივი შედეგები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 129.

შეთანხმების არსებობის აუცილებლობით, პირობითი მსჯავრის გამოყენების შემზღვეველი დანაწესი ვრცელდება თუ არა 63-ე მუხლის მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილებზე? ჯერ განვიხილოთ სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი შემთხვევა, რომლის თანახმადაც, „თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაული, დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა დაუშვებელია“.²² თუ დავუშვებთ, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი ასევე ვრცელდება მეორე ნაწილზეც, მაშინ გამოვა, რომ მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების არსებობის შემთხვევაშიც, დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა შეუძლებელი იქნება, თუ კი მსჯავრდებულს ჩადენილი ექნება განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაული. აღნიშნული კი, თავის მხრივ, პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის 63-ე მუხლის პირველ ნაწილთან, რომელიც, საპროცესო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს ანიჭებს დანიშნული სასჯელის სრულად პირობით ჩათვლის უფლებამოსილებას ნებისმიერ დანაშაულთან მიმართებით, გარდა ცალკეული გამონაკლისებისა, რომელსაც თავად ითვალისწინებს 63-ე მუხლის პირველი ნაწილი. აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრული ვითარება კი არ უნდა ჩაითვალოს პირველი ნაწილით განსაზღვრული დანაწესის საგამონაკლისო შემთხვევად. 2020 წლის 13 ივლისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით, ერთ-ერთი ასეთი საგამონაკლისო შემთხვევა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომ-

ლის თანახმადაც, პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესი, საპროცესო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში სასჯელის პირობითად ჩათვლის შესახებ, არ გამოიყენება ამავე მუხლის 1¹-ლი (პრიმა) ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს შემდეგს: „თუ მსჯავრდებულმა არასრულწლოვანის მიმართ ჩაიდინა ამ კოდექსის 137-ე–139-ე, 141-ე და 253-ე–255²-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები, დანიშნული სასჯელის სრულად პირობითად ჩათვლა დაუშვებელია“.²³

ამდენად, განხორციელებული ცვლილების თანახმად, საპროცესო შეთანხმების არსებობის შემთხვევაშიც კი, ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენი პირისათვის დანიშნული სასჯელის სრულად პირობითად ჩათვლა დაუშვებელია, რაც გულისხმობს იმას, რომ მსჯავრდებული სრულად ვერ დააღწევს თავს მისთვის შეფარდებული სასჯელისაგან და მისთვის დანიშნული სასჯელის ნაწილი რეალურად აღსრულდება, ანუ მას მოუწევს სასჯელის გარკვეული ნაწილის პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდა. აქვე აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის, თუ შეფარდებული სასჯელის რა ნაწილის ჩათვლაა შესაძლებელი პირობით მსჯავრად. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას კანონმდებელი მიანდობს მხარეებს, რაც არ უნდა ჩაითვალოს მართებულად, ვინაიდან საქმე ეხება არასრულწლოვანის მიმართ ჩადენილ სექსუალური ხასიათის მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებს, შესაბამისად, საკანონმდებლო დონეზე უშუალოდ უნდა გაიწეროს თუ დანიშნული სასჯელის კონკრეტულად რა ნაწილის ჩათვლაა შესაძლებელი პირო-

22 მუხლი 63, საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 22/07/1999, # 2287.

23 მუხლი 63, საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 22/07/1999, # 2287.

ბით მსჯავრად. აღნიშნულ შემთხვევაზე ვერ გავრცელდება სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით, დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით, განსაზღვრული ლიმიტები, რადგან აღნიშნული ნორმა მიემართება ისეთ შემთხვევას, როდესაც მხარეებს შორის დადებული არ არის საპროცესო შეთანხმება. აღნიშნული გარემოების დაკონკრეტების საჭიროებაზე ასევე მეტყველებს საპროცესო შეთანხმების დადებისას დაზარალებულის შეზღუდული უფლებები. მოქმედი სისხლის სამართლის პროცესუალური კანონმდებლობით საპროცესო შეთანხმების დადებისას სავალდებულო არ არის დაზარალებულის თანხმობა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „პროკურორი ვალდებულია საპროცესო შეთანხმების დადებაზე დაზარალებულთან გაიაროს კონსულტაცია და შეატყობინოს მას საპროცესო შეთანხმების დადება, რის შესახებაც პროკურორი ადგენს ოქმს“.²⁴ ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი, „დაზარალებულს უფლება არა აქვს, გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება“.²⁵

აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვა მიემართება არა ამავე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესს, არამედ იგი ზღუდავს სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით, მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების გარეშე, განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირისათვის სასჯელის პირობითად ჩათვლას. აქედან გამომდინარე, აღნიშნული დანაწესი არ წარმოადგენს 63-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული რეგულაციის შემზღუდავ, საგამონაკლისო შემთხვევას, პირიქით, იგი სრულად

დისტანცირებულია პირველი ნაწილისაგან. იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის პირველ ნაწილს გავავრცელებთ მეორე ნაწილზეც და ამ უკანასკნელს ჩავთლით პირველი ნაწილის დანაწესის შემზღუდაველ ნორმად, მაშინ მივიღებთ იმგვარ ვითარებას, რომ, საპროცესო შეთანხმების არსებობის შემთხვევაშიც კი, თუ ჩადენილი იქნება განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაული, საერთოდ შეუძლებელი იქნება პირობითი მსჯავრის გამოყენება. ეს იმ ვითარებაში, როდესაც არასრულწლოვანთა წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში (მაგალითად, სსკ-ის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ან/და „დ“ ქვეპუნქტები), მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების არსებობისას, შესაძლებელია პირობითი მსჯავრის შეზღუდულ ფარგლებში გამოყენება, რაც გულისხმობს დანიშნული სასჯელის ნაწილობრივ პირობითად ჩათვლას. აქედან გამომდინარე, სსკ-ის 63-ე მუხლის მე-2 ნაწილთან დაკავშირებით, საკითხის ამგვარად გადაწყვეტა ცალსახად დაუშვებელია, რადგან, როგორც ცნობილია, არასრულწლოვანი, სრულწლოვანთან შედარებით, წარმოადგენს მოწყვლად კატეგორიას, რაც განაპირობებს მისი სამართლებრივი სიკეთეების მომეტებულად დაცვის უპირობო საჭიროებას.

ამ თვალსაზრისით ასევე აღსანიშნავია სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი დანაწესი, რომლის თანახმადაც, „თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახი ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებელი დანაშაული და იგი აღიარებს დანაშაულს ან/და თანამშრომლობს გამომძიებელს, სასამართლო უფლებამოსილია დაადგი-

24 მუხლი 217, საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 09/10/2009, # 1772.

25 იქვე.

ნოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად, თუ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევია არ ყოფილა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახვი მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის²⁶. ამდენად, საინტერესოა, აღნიშნულ დანაწესზე თუ ვრცელდება 63-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა და ამ ნორმის გამოყენება სასამართლოს თუ შეუძლია საკუთარი ინიციატივით, მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების არარსებობის დროს? აღნიშნული საკითხის გასარკვევად, პირველ რიგში, უნდა გავაანალიზოთ რამდენიმე გარემოება. პირველი, კერძოდ, თუ სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა ასევე ვრცელდება მესამე ნაწილზეც და წარმოადგენს მისი გამოყენების უპირობო საფუძველს, მესამე ნაწილში კანონმდებელი რატომღა აკონკრეტებს აღნიშნული დანაწესის გამოსაყენებლად აუცილებელ ისეთ სავალდებულო პირობებს, როგორცაა პირის მიერ დანაშაულის აღიარება ან/და გამოძიებასთან თანამშრომლობა? პირველ რიგში, განვიხილოთ დანაშაულის აღიარება, რომელიც, თავის მხრივ, ისედაც წარმოადგენს საპროცესო შეთანხმების დადებისათვის აუცილებელ წინაპირობას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე. ამასთან დაკავშირებით მოკლედ უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლი, 2014 წლის 24 ივლისის საკანონმდებლო ცვლილებებამდე, იცნობდა საპროცესო შეთანხმების ორ სახეს – საპროცესო შეთანხმება ბრალზე და საპროცესო შეთანხმება სასჯელზე. თუმცა, 2014 წლის 24 ივლისის სსსკ-ში ცვლილების

შედეგად გაუქმდა საპროცესოს შეთანხმება სასჯელზე, რაც ნიშნავს იმას, რომ ბრალის აღიარების გარეშე საპროცესო შეთანხმების მხოლოდ სასჯელზე გაფორმება შეუძლებელია. ხოლო ბრალზე საპროცესო შეთანხმების გაფორმება სასჯელზე შეთანხმებასაც მოიცავს. საპროცესო შეთანხმების გაფორმების აუცილებელი წინაპირობაა ბრალის აღიარება. 209-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს საპროცესო შეთანხმების დამატებით პირობებს, რომლებიც ძირითად პირობასთან (ბრალის აღიარებასთან) ერთად უნდა იქნეს გამოყენებული. ასეთი პირობებია: თანამშრომლობა, ზიანის ანაზღაურება²⁷. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, საპროცესო შეთანხმების დადების ერთადერთი და უპირობო საფუძველია ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარება, აღნიშნულის გარეშე დაუშვებელია მასთან საპროცესო შეთანხმება სასჯელზე.

ამდენად, თუ სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი, საპროცესო შეთანხმების არსებობის აუცილებლობაზე მითითება ვრცელდება ამავე მუხლის მესამე ნაწილზეც, კანონმდებელი ცალკე რატომღა უთითებს მესამე ნაწილის გამოსაყენებლად დანაშაულის აღიარების პირობას, რომელიც, თავის მხრივ, საპროცესო შეთანხმების გაფორმების აუცილებელი წინაპირობაა? ასევე, აღსანიშნავია, რომ დანაშაულის აღიარებასთან ერთად, კანონმდებელი მესამე ნაწილის დანაწესის გამოსაყენებლად უთითებს მეორე ისეთ ალტერნატიულ გარემოებაზე, როგორცაა: გამოძიებასთან თანამშრომლობა. მესამე ნაწილში მოცემულია დანაშაუ-

26 მუხლი 63, საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 22/07/1999, # 2287.

27 თუმანიშვილი, გ. და სხვები, 2015. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. თბილისი: ამერიკის იურისტთა ასოციაცია, გვ. 633.

ლის აღიარება ან/და გამოძიებასთან თანამშრომლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა სახეზე კუმულაციურად იყოს როგორც ორივე გარემოება, ასევე ალტერნატიულად ერთ-ერთი მათგანიც. შესაბამისად, თუ მივიჩნევთ, რომ საპროცესო შეთანხმების არსებობა წარმოადგენს ყველა სახის პირობითი მსჯავრის გამოყენების აუცილებელ პირობას, აღნიშნული პირდაპირ წინააღმდეგობაში მოვა სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მესამე ნაწილის დანაწესთან, ვინაიდან მხოლოდ გამოძიებასთან თანამშრომლობა არ წარმოადგენს ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების დადების საფუძველს, არამედ, პირველ რიგში, აუცილებელია სწორედ ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარება. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული, პირობითი მსჯავრის დანიშვნისათვის აუცილებელი საპროცესო შეთანხმება არ გულისხმობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლით დარეგულირებული საპროცესო შეთანხმების სპეციალურ შემთხვევას, რომელიც საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის საფუძვლით იღება ბრალდებულს/მსჯავრდებულსა და გენერალურ პროკურორს შორის. ამასთან ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული საპროცესო შეთანხმების დასადავად საკმარისი არ არის მხოლოდ გამოძიებასთან თანამშრომლობა, არამედ კუმულაციურად ამ თანამშრომლობის შედეგად ასევე უნდა ირკვეოდეს დანაშაულის ჩამდენი თანამდებობის პირის ან/და მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და სწორედ მისი უშუალო ხელშეწყობით უნდა იქმნებოდეს ამ დანაშაულის გახსნისათვის არსებითი პირობები. აღნიშნული საპროცესო შეთანხმება წარმოადგენს ბრალდებულის სისხლისსამართლებრი-

ვი პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების ან მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის და არა დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლის საფუძველს. ამდენად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის სამართლებრივი დანაწესის გამოყენების საფუძველს წარმოადგენს სწორედ საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული კლასიკური საპროცესო შეთანხმების არსებობა, რომლის დადების აუცილებელი წინაპირობა არის სწორედ ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარება. სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მესამე ნაწილი კი სასამართლოს პირდაპირ აძლევს იმ მსჯავრდებულის მიმართაც პირობითი მსჯავრის გამოყენების შესაძლებლობას, რომელიც არ აღიარებს დანაშაულს, თუმცა გარკვეული სახით თანამშრომლობს გამოძიებასთან. ასევე, როგორც უკვე აღინიშნა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლისაგან განსხვავებით, აქ კანონმდებელი იმპერატიულად არ მიუთითებს გამოძიებასთან თანამშრომლობის შედეგად დანაშაულის ჩამდენი თანამდებობის პირის ან/და მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობის დადგენის აუცილებლობასა და მისი უშუალო ხელშეწყობით ამ დანაშაულის გახსნისათვის არსებითი პირობების შექმნაზე. აქედან გამომდინარე, სასამართლოს საკუთარი ინიციატივით, მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების არარსებობისას, შეუძლია დანიშნული სასჯელი სრულად ჩათვალოს პირობითად, თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახი ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული და ამავდროულად იგი აღიარებს დანაშაულს ან/და თანამშრომლობს გამოძიებასთან, თუ იგი წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი

მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განმარტება, რომლის თანახმადაც, სსკ-ის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით, საპროცესო შეთანხმების არსებობის გარეშე, დანიშნული სასჯელი ჩათვალოს პირობითად.²⁸

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „დადებით მოვლენად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ სასამართლო პრაქტიკა სსკ-ის 63-ე მუხლის შესაძენაწილის გამოყენებისათვის (როცა ჩადენილია განზრახ ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებელი დანაშაული) სავალდებულოდ არ თვლის საპროცესო შეთანხმების არსებობას“.²⁹ სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „თუ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევია იყო ორი ან მეტი განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის, დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა დაუშვებელია“.³⁰ საინტერესოა, აღნიშნული დანაწესი წარმოადგენს თუ არა სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაწესის შემზღვეველ გარემოებას? იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, „აღნიშნული დანაწესით გათვალისწინებული შეზღუდვა ვრცელდება არა პირველ ნაწილზე, არამედ მეორე ნაწილზე, ანუ პირობითი მსჯავრის

იმ სახეზე, რომლის გამოსაყენებლადაც არ მოითხოვება საპროცესო შეთანხმების არსებობა“.³¹ სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მეოთხე ნაწილთან მიმართებითაც საკითხი უნდა გადაწყდეს ამავე მუხლის მეორე დამესამე ნაწილების ანალოგიურად, რაც გულისხმობს იმას, რომ აღნიშნული შეზღუდვა ვრცელდება სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით, საპროცესო შეთანხმების არარსებობისას, პირობითი მსჯავრის გამოყენების შემთხვევებზე. როგორც უკვე აღინიშნა, სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირობითი მსჯავრის გამოყენების ნაწილობრივად შემზღვეველ დანაწესს (სასჯელის სრულად პირობითად ჩათვლის აკრძალვის ასპექტში) წარმოადგენს ამავე მუხლის 1¹ - ლი(პრიმა) ნაწილით გათვალისწინებული რეგულაცია. აღნიშნულ ასპექტში საინტერესოა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საპროცესო შეთანხმების სპეციალური, განსაკუთრებული შემთხვევა, რომლის თანახმადაც, „განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის/მსჯავრდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად ირკვევა დანაშაულის ჩამდენი თანამდებობის პირის ან/და მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით იქმნება ამ დანაშაულის გახსნისთვის არსებითი პირობები, საქართველოს გენერალურ

28 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 14 ივლისის განმარტება საქმეზე N 31 აპ – 14. გვ. 22-23. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ertgvarovani-praktika-sisxli.pdf>> [წვდომის თარიღი 09 ივნისი 2023].

29 თოდუა, ნ. და სხვები, 2019. სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). თბილისი: მერიდიანი, გვ. 622.

30 მუხლი 63, საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 22/07/1999, # 2287.

31 დვალაძე, ი., 2013. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 130.

პროკურორს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან ან **სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების**, ან მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის თაობაზე³². ამავე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად კი, „დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144¹-144³-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე, აგრეთვე არასრულწლოვანის წინააღმდეგ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე, 138-ე, 139-ე, 141-ე, 253-ე-255-ე, 255¹-ე და 255²-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში“³³. ამდენად, ხსენებული სამართლებრივი დანაწესის თანახმად, დაუშვებელია სსკ-ის 144¹-ე (პრიმა), 144²-ე (სეკუნდა) და 144³-ე (ტერცია) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში, ასევე არასრულწლოვანთა წინააღმდეგ ჩადენილ კონკრეტულ დანაშაულებში ბრალდებული/მსჯავრდებული პირების სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება, რაც თავისი არსით გულისხმობს იმას, რომ აღნიშნულმა პირებმა აუცილებლად რეალურად უნდა მოიხადონ სასჯელის გარკვეული ნაწილი მაინც. ზემოხსენებული საფუძვლით, სასჯელისაგან გათავისუფლება, სასჯელის რეალურად გამოუყენებლობის ასპექტში, ემსგავსება პირობითი მსჯავრის ინსტიტუტს და ფაქტობრივი მოცემულობის თვალსაზრისით ერთნაირ შედეგებს წარმოშობს ბრალდებულისათვის, რაც გამოიხატება იმაში, რომ ორივე შემთხვევა-

ში მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელი რეალურად არ აღსრულდება კონკრეტული პირობების შესრულების საცვლოდ. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაში აღინიშნება, რომ, თუ ბრალდებული/მსჯავრდებული არ ითანამშრომლებს საგამოძიებო ორგანოებთან, შეთანხმება, მისი პირობების შესაბამისად, ბათილად ჩაითვლება“³⁴. რაც გულისხმობს იმას, რომ, შეთანხმებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, პირი რეალურად მოიხდის დანიშნულ სასჯელს. ანალოგიური შედეგი დგება, პირობითი მსჯავრის მოქმედების დროს, მსჯავრდებულის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობისას (თუმცა, ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ, სამართლებრივი თვალსაზრისით, სასჯელისაგან გათავისუფლება და პირობითი მსჯავრი სხვადასხვა სახის ინსტიტუტებს წარმოადგენს). კერძოდ, სასჯელისაგან გათავისუფლება გულისხმობს მსჯავრდებულისათვის სასჯელის არიდებას, რაც არ იკვეთება პირობითი მსჯავრის დროს, ეს რომ ასე იყოს, მაშინ იგი არ იქნებოდა დაკავშირებული გამოსაცდელ ვადასთან და ამ ვადაში გარკვეული მოვალეობების დაკისრებასთან.³⁵

აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის საპროცესო 218-ე მუხლის მე-8 ნაწილის მოცემულობა გარკვეულწილად ირიბად შემზღვეველ მინიშნებას აკეთებს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის სამართლებრივი დანაწესის გავრცელებაზე სისხლის

32 მუხლი 218, საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 09/10/2009, # 1772.

33 იქვე.

34 მუხლი 218, საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 09/10/2009, # 1772.

35 თოდუა, ნ. და სხვები, 2016. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში. თბილისი: მერიდიანი, გვ. 373.

სამართლის კოდექსის 144¹-ე (პრიმა), 144²-ე (სეკუნდა) და 144³-ე (ტერცია) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან მიმართებით, კერძოდ, აღნიშნული დანაშაულების ჩამდენი პირებისათვის სასჯელის სრულად პირობითად ჩათვლის დაუშვებლობასთან დაკავშირებით, რადგან, თუ აღნიშნული პირების მიერ გამოძიებასთან თანამშრომლობის შემთხვევაშიც კი, დაუშვებელია მათი დანიშნული სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება, ესე იგი მათ მიმართ დანიშნული სასჯელის რეალურად არგამოყენება, ლოგიკურად ასევე დაუშვებელი უნდა იყოს აღნიშნული პირებისათვის შეფარდებული სასჯელის სრულად პირობითად ჩათვლა (სასჯელის რეალურად აღსრულების გამოუყენებლობა). აღნიშნული ლოგიკაა გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის 1¹-ელ (პრიმა) ნაწილში, შესაბამისად, უმჯობესი იქნება, თუ სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესის, სასჯელის სრულად პირობითად ჩათვლის ასპექტში, გამოყენების გამომრიცხავი ნორმა, 63-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის მსგავსად, გათვალისწინებული იქნება უშუალოდ 63-ე მუხლში. ამრიგად, მეტი სიცხადისათვის, უმჯობესია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლში შევიდეს საკანონმდებლო ცვლილება, რომლითაც აიკრძალება 144¹-ე (პრიმა), 144²-ე (სეკუნდა) და 144³-ე (ტერცია) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩამდენი პირებისათვის სასჯელის სრულად პირობითად ჩათვლის სამართლებრივი შესაძლებლობა.

ამდენად, სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის ანალიზისას ცალსახად გამოიკვეთა მისი სტრუქტურის,

კერძოდ, პირველი და სხვა დანარჩენი ნაწილების ურთიერთმიმართების პრობლემატიკა. შესაბამისად, მეტი სიცხადისათვის, უმჯობესი იქნება, რომ დაკონკრეტდეს 63-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილები, კერძოდ, მიეთითოს, რომ ხსენებული ნაწილები მოქმედებს საპროცესო შეთანხმების არარსებობის პირობებში. საილუსტრაციოდ განვიხილოთ მეორე ნაწილი, რომელიც უმჯობესია, ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად, კერძოდ: „თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახვი მძიმე დანაშაული, მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების არარსებობისას, დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა დაუშვებელია.“ ანალოგიური პრინციპით უნდა ჩამოყალიბდეს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების დისპოზიციებიც.

ასევე, საყურადღებოა 63-ე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „თუ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევ იყო ორი ან მეტი განზრახვი დანაშაულისათვის, დანიშნული სასჯელის ჩათვლა პირობითად დაუშვებელია“.³⁶ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მართებულადაა აღნიშნული, რომ „ასეთი საკანონმდებლო ფორმულირება ქმნის საკითხის ორაზროვნად გაგების საფრთხეს, რაც დაუშვებელია. გამორიცხული არაა, პრაქტიკაში პირის საზიანოდ იქნეს განმარტებული „წარსულში ნასამართლობა“, რაც დღეისთვის მოხსნილი ან გაქარწყლებულია და მას დაუმძიმდეს მდგომარეობა. საკითხის ამგვარად გადაწყვეტა კი ძირს უთხრის ნასამართლობის გაქარწყლებისა და მოხსნის ინსტიტუტს“.³⁷ აღნიშნული საკითხის პირის საზიანოდ გადაწყვეტა პირდაპირ ეწინააღ-

36 მუხლი 63, საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 22/07/1999, # 2287.

37 თოდუა, ნ. და სხვები, 2016. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში. თბილისი: მერიდიანი, გვ. 426-427.

მდეგება სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილის იმპერატიულ დანაწესს, რომლის თანახმადაც, „გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას“.³⁸

პირობითი მსჯავრი კი წარმოადგენს სწორედ სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების ნაირსახეობას. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „სსკ-ის 63-ე მუხლის მე-4 ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: თუ მსჯავრდებული ნასამართლევია ორი ან მეტი განზრახი დანაშაულის ჩაღენისათვის, დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა დაუშვებელია“.³⁹

ასევე მნიშვნელოვანია მოკლედ განვიხილოთ სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და 63-ე მუხლის მეორე ნაწილის ურთიერთმიმართების საკითხი. იურიდიულ ლიტერატურაში მართებულადაა აღნიშნული, რომ ხსენებული დანაწესი ეწინააღმდეგება სსკ-ის 63-ე მუხლის მე-2 ნაწილს.⁴⁰ „ხსენებულ მუხლებს შორის წინააღმდეგობა უნდა გადაწყდეს 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის სასარგებლოდ, რადგან იგი ადგენს პირობითი მსჯავრის გამოყენების კრძალ შემთხვევას. სახელდობრ, ადგენს არა მთლიანად დანიშნული სასჯელის ჩათვლას პირობითად, არამედ მხოლოდ მისი

ნაწილის ჩათვლას პირობითად“.⁴¹ „პირობითი მსჯავრის დანიშვნისას, თუ საპროცესო შეთანხმებაა დადებული, მაშინ პირობითი მსჯავრი მთლიანი სასჯელის რეალურ მოხდას ცვლის. სულ სხვაგვარი ვითარებაა, როდესაც საპროცესო შეთანხმება არაა გაფორმებული და პირობითი მსჯავრი ინიშნება. კანონმდებელი უკანასკნელ შემთხვევაში, დანაშაულის კატეგორიების გათვალისწინებით, აწესებს დანიშნული სასჯელის პირობითი მსჯავრით შეცვლის ზღვრულ ოდენობებს [იგულისხმება სწორედ სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის დანაწესი – ხაზგასმა ჩემია – ბ.გ.]“.⁴²

აქედან გამომდინარე, როგორც უკვე აღინიშნა, სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვა მიემართება უშუალოდ საპროცესო შეთანხმების არარსებობისას, სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით პირობითი მსჯავრის გამოყენების შემთხვევას. ხოლო სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი კი წარმოადგენს, ასევე საპროცესო შეთანხმების არარსებობისას პირობითი მსჯავრის შეზღუდულ ფარგლებში გამოყენების სპეციალურ შემთხვევას, აქედან გამომდინარე, როგორც უკვე აღინიშნა, საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს სწორედ სპეციალურ (სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი) და არა ზოგად დანაწესს (სსკ-ის 63-ე მუხლის მეორე ნაწილი).

38 მუხლი 79, საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 22/07/1999, # 2287.

39 თოდუა, ნ. და სხვები, 2016. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში. თბილისი: მერიდიანი, გვ. 429-430.

40 გვენეტაძე, ნ. და სხვები, 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). თბილისი: მერიდიანი, გვ. 393-394.

41 თოდუა, ნ. და სხვები, 2016. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში. თბილისი: მერიდიანი, გვ. 382.

42 დვალაძე, ი., 2013. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 131.

დასკვნა

შეჯამების სახით, პირობითი მსჯავრის ინსტიტუტთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება. კერძოდ, პირობითი მსჯავრის ინსტიტუტი, თავისი არსითა და ფუნქციური დანიშნულებით, წარმოადგენს არა სასჯელის სახეს, არამედ სისხლისსამართლებრივი ღონისძიების თავისებურ განმტობებას, რომელიც ემსახურება დანიშნული სასჯელის მიზნების მიღწევას, მისი რეალურად მოხდის გარეშე. ზოგადად, როგორც ცნობილია, სასჯელი ინიშნება იმისათვის, რომ უპირველესად მიღწეულ იქნეს მისი მიზნები. ამდენად, მართალია, პირობითი მსჯავრის დროს, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში, სასჯელის რეალურად მოხდა შეჩერებულია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ დროს სასჯელის მიზნების აღსრულების საკითხი მეორეხარისხოვანია. პირიქით, პირობითი მსჯავრის გამოყენების უმთავრესი მიზანი გამოიხატება სწორედ მსჯავრდებულზე შედარებით ნაკლები ნეგატიური ზემოქმედების განხორციელების გზით სასჯელის მიზნების მარტივად და ეფექტიანად რეალიზებაში.

შესაბამისად, პირობითი მსჯავრი შესაძლოა მივიჩნიოთ სასჯელის აღსრულების ალტერნატიულ სამართლებრივ მექანიზმად, რაც გამოიხატება სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის რეალურად აღსრულების არგამოყენებაში, მსჯავრდებულის მიერ გამოსაცდელ ვადაში დაკისრებული მოვალეობების პირნათლად შესრულების პირობით. სწორედ დაკისრებული მოვალეობების შესრულების შემდეგ, მიიჩნევა შეფარდებული სასჯელი აღსრულებულად, ხოლო მისი მიზნები კი – მიღწეულად. ამის შემდეგ პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ნეგატიური შედეგებისაგან, აღნიშნული კი, პირველ რიგში, გა-

მოიხატება სწორედ გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ ნასამართლობის გაქარწყლებაში. შესაბამისად, გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ, პირი აღარ არის მოქცეული სისხლისსამართლებრივი სახის „მზღუდავი ზემოქმედების საზღვრებში“ და იგი სამართლებრივად სუფთა ფურცლიდან ერთვება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სასჯელის ერთ-ერთი მიზნის, მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ფუნქციური დანიშნულებაც ხომ სწორედ ამაში გამოიხატება.

რაც შეეხება პირობითი მსჯავრის დანიშნვის საფუძველს. ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო შეთანხმების არსებობა ყოველთვის არ წარმოადგენს პირობითი მსჯავრის გამოყენების წინაპირობას. ამის თვალსაჩინო გამოხატულებას წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილისა და მისი სხვა ნაწილების ურთიერთმიმართების სამართლებრივი ჯაჭვი. კერძოდ, 63-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაწესი არ წარმოადგენს ამავე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი მოთხოვნების შემზღუდავ, ერთგვარ საგამონაკლისო საშუალებას. ეს უკანასკნელი ნორმა წარმოადგენს სწორედ საპროცესო შეთანხმების არარსებობისას, სასამართლოს მიერ სასჯელის პირობითად ჩათვლის შემზღუდავ მექანიზმს. აღნიშნულის გამოხატულებაა ასევე სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი, რომელიც განზრახი ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ სასჯელის პირობითად ჩათვლის ერთ-ერთ ალტერნატიულ წინაპირობად მიუთითებს ბრალდებულის გამოძიებასთან თანამშრომლობას, რომელიც, თავის მხრივ, ცალკე აღებული არ წარმოადგენს საპროცესო შეთანხმების დადების სამართლებრივ

საფუძველს. ამდენად, საპროცესო შეთანხმების არსებობა სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის გამოყენების წინაპირობა რომ იყოს, თავად 63-ე მუხლი მისი ამოქმედების ერთ-ერთ საფუძველად აღარ გაითვალისწინებდა ისეთ გარემოებას (გამოძიებასთან თანამშრომლობა), რომელიც არ წარმოადგენს მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების გაფორმების საფუძველს. საპროცესო შეთანხმების არსებობის შემთხვევაშიც, სასჯელის სრულად პირობითად ჩათვლის გამომრიცხავ საფუძველს თავად შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის პირველი და პირველი პრიმა ნაწილები, რომელთა თანახმადაც, საპროცესო შეთანხმების არსებობის პირობებშიც კი, თუ მსჯავრდებულმა არასრულწლოვანის მი-

მართ ჩაიდინა ამ კოდექსის 137-ე–139-ე, 141-ე და 253-ე–255²-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები, დანიშნული სასჯელის სრულად პირობითად ჩათვლა დაუშვებელია. აქედან გამომდინარე, საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ პირობითი მსჯავრის ინსტიტუტი წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი ღონისძიების სახეს, რომლის დანიშვნაც ძირითადად დამოკიდებულია სწორედ საპროცესო შეთანხმების არსებობაზე, თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში (იგულისხმება სსკ-ის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილი), დანიშნული სასჯელის სრულად პირობითად ჩათვლა ასევე შესაძლებელია საპროცესო შეთანხმების არსებობის გარეშეც, სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივის საფუძველზე.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამყრელიძე, ო., 2015. სისხლის სამართლის პრობლემები. მესამე ტომი. თბილისი: იურისტების სამყარო.
2. გვენეტაძე, ნ. და სხვები, 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). თბილისი: მერიდიანი.
3. დვალაძე, ი., 2013. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები. თბილისი: მერიდიანი.
4. ვარძელაშვილი, ი., 2016. პირობითი მსჯავრის დანიშვნა და გაუქმება. გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული. თბილისი: მერიდიანი.
5. თოდუა, ნ. და სხვები, 2016. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში. თბილისი: მერიდიანი.
6. თოდუა, ნ. და სხვები, 2019. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). თბილისი: მერიდიანი.

Bibliography:

Used Literature:

2. Dvalidze, I., 2013. The General Part of Criminal Law, Punishment and Other Legal Results of Criminal Law. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
1. Gamkrelidze, O., 2015. The Problems of Criminal Law. Third volume. Tbilisi: The Universe of lawyers. (in Georgian)
2. Gvenetadze, N. and others, 2007. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
3. Todua, N. and others, 2019. Criminal Law, General Part (Textbook). Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
4. Todua, N. and others, 2016. Liberalization Trends of Criminal Law Legislation in Georgia. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
5. Tumanishvili, G. and others, 2015. Commentary on the Criminal Procedure Code of Georgia. Tbilisi: Association of Lawyers of The United States of America. (in Georgian)
6. Vardzelashvili, I., 2016. Appointment and Cancellation of Conditional Sentence. Guram

7. თუმანიშვილი, გ. და სხვები, 2015. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. თბილისი: ამერიკის იურისტთა ასოციაცია.

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 22/07/1999, # 2287.
2. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 09/10/2009, #1772.

სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება (საქმე N 1/1/428,447,459). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=326>> [წვდომის თარიღი 08 ივნისი 2023].
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 14 ივლისის განმარტება საქმეზე N 31 აპ-14. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ertgvarovani-praktika-sisxli.pdf>> [წვდომის თარიღი 09 ივნისი 2023].

ინტერნეტ რესურსები:

1. S. Frase, R., 2019. Suspended sentences and freestanding probation orders in U.S. guidelines systems: A survey and assessments. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://globcci.org/wp-content/uploads/2021/07/Suspended-Sentences-and-Free-Standing-Probation-Order-in-U.S.-2019.pdf>> [წვდომის თარიღი 28 მაისი 2023].

Nachkebia – 75, Anniversary collection. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)

Normative Materials:

1. Law of Georgia Criminal Code of Georgia. The Notifications of Parliament, 22/07/1999, # 2287. (in Georgian)
2. Law of Georgia Criminal Procedure Code of Georgia. The Notifications of Parliament, 09/10/2009, # 1772. (in Georgian)

Judicial Practice:

1. Decision of the Constitutional Court of Georgia of May 9, 2009 (Case N 1/1/428,447,459). [online] Available at: <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=326>> [Accessed: 08 June 2023]. (in Georgian)
2. Definition of Chamber of Criminal Case Affair of the Supreme Court of Georgia of July 14, 2014 (Case N 13 ap-14). [online] Available at: <<https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ertgvarovani-praktika-sisxli.pdf>> [Accessed 09 June 2023]. (in Georgian)

Internet Resources:

1. S. Frase, R., 2019. Suspended sentences and freestanding probation orders in U.S. guidelines systems: A survey and assessments. [online] Available at: <<https://globcci.org/wp-content/uploads/2021/07/Suspended-Sentences-and-Free-Standing-Probation-Order-in-U.S.-2019.pdf>> [Accessed 28 May 2023]. (in English)

References:

1. Todua, N. and others, 2016. Liberalization Trends of Criminal Law Legislation in Georgia. Tbilisi: Meridiani, p. 369. (in Georgian)
2. S. Frase, R. 2019. Suspended Sentences and Freestanding Probation Orders in U.S. guidelines systems: A survey and assessments. p.1. [online] Available at: <<https://globcci.org/wp-content/uploads/2021/07/Suspended-Sentences-and-Free-Standing-Probation-Order-in-U.S.-2019.pdf>> [Accessed 28 May 2023]. (in English)
3. Gvenetadze, N. and others, 2007. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: Meridiani, p. 392. (in Georgian)
4. Dvalidze, I., 2013. The General Part of Criminal Law, Punishment and Other Legal Results of Criminal Law. Tbilisi: Meridiani, p. 127. (in Georgian)
5. Todua, N. and others, 2016. Liberalization Trends of Criminal Law Legislation in Georgia. Tbilisi: Meridiani, pp. 370-371. (in Georgian)
6. Vardzelashvili, I., 2016. Appointment and Cancellation of Conditional Sentence. Guram Nachkebia – 75, Anniversary collection. Tbilisi: Meridiani, p. 244. (in Georgian)
7. Dvalidze, I., 2013. The General Part of Criminal Law, Punishment and Other Legal Results of Criminal Law. Tbilisi: Meridiani, p. 128. (in Georgian)
8. Todua, N. and others, 2016. Liberalization Trends of Criminal Law Legislation in Georgia. Tbilisi: Meridiani, p. 370. (in Georgian)
9. Dvalidze, I., 2013. The General Part of Criminal Law, Punishment and Other Legal Results of Criminal Law. Tbilisi: Meridiani, p. 128. (in Georgian)
10. *Ibid.* p. 128.
11. Vardzelashvili, I., 2016. Appointment and Cancellation of Conditional Sentence. Guram Nachkebia – 75, Anniversary collection. Tbilisi: Meridiani, pp. 245-246. (in Georgian)
12. Todua, N. and others, 2016. Liberalization Trends of Criminal Law Legislation in Georgia. Tbilisi: Meridiani, p. 380. (in Georgian)
13. Dvalidze, I., 2013. The General Part of Criminal Law, Punishment and Other Legal Results of Criminal Law. Tbilisi: Meridiani, p. 43. (in Georgian)
14. Gamkrelidze, O., 2015. The Problems of Criminal Law. Third volume. Tbilisi: The Universe of lawyers, p. 115. (in Georgian)
15. Decision of the Constitutional Court of Georgia of May 9, 2009 (Case N 1/1/428,447,459). [online] Available at: <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=326>> [Accessed 08 June 2023]. (in Georgian)
16. *Ibid.*
17. Todua, N. and others, 2016. Liberalization Trends of Criminal Law Legislation in Georgia. Tbilisi: Meridiani, p. 380. (in Georgian)
18. Article 63, Law of Georgia Criminal Code of Georgia. The Notifications of Parliament, 22/07/1999, # 2287. (in Georgian)
19. Article 209, Law of Georgia Criminal Procedure Code of Georgia. The Notifications of Parliament, 09/10/2009, # 1772. (in Georgian)
20. Gamkrelidze, O., 2015. The Problems of Criminal Law. Third volume. Tbilisi: The Universe of lawyers, p. 118. (in Georgian)
21. Dvalidze, I., 2013. The General Part of Criminal Law, Punishment and Other Legal Results of Criminal Law. Tbilisi: Meridiani, p. 129. (in Georgian)
22. Article 63, Law of Georgia Criminal Code of Georgia. The Notifications of Parliament, 22/07/1999, # 2287. (in Georgian)
23. *Ibid.*
24. Article 217, Law of Georgia Criminal Procedure Code of Georgia. The Notifications of Parliament, 09/10/2009, # 1772. (in Georgian)
25. *Ibid.*
26. Article 63, Law of Georgia Criminal Code of Georgia. The Notifications of Parliament, 22/07/1999, # 2287. (in Georgian)
27. Tumanishvili, G. and others, 2015. Commentary on the Criminal Procedure Code of Georgia. Tbilisi: Association of Lawyers of The United States of America, p. 633. (in Georgian)
28. Decision of Criminal Chamber of the Supreme Court of Georgia of July 14, 2014 (Case N 13 ap – 14). pp. 22-23. [online] Available at: <<https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ertgvarovani-praktika-sisxli.pdf>> [Accessed 09 June 2023]. (in Georgian)
29. Todua, N. and others, 2019. Criminal Law, General Part (Textbook). Tbilisi: Meridiani, p. 622. (in Georgian)

30. Article 63, Law of Georgia Criminal Code of Georgia. The Notifications of Parliament, 22/07/1999, # 2287. (in Georgian)
31. Dvalidze, I., 2013. The General Part of Criminal Law, Punishment and Other Legal Results of Criminal Law. Tbilisi: Meridiani, p. 130. (in Georgian)
32. Article 218, Law of Georgia Criminal Procedure Code of Georgia. The Notifications of Parliament, 09/10/2009, # 1772. (in Georgian)
33. *Ibid.*
34. *Ibid.*
35. Todua, N. and others, 2016. Liberalization Trends of Criminal Law Legislation in Georgia. Tbilisi: Meridiani, p. 373. (in Georgian)
36. Article 63, Law of Georgia Criminal Code of Georgia. The Notifications of Parliament, 22/07/1999, # 2287. (in Georgian)
37. Todua, N. and others, 2016. Liberalization Trends of Criminal Law Legislation in Georgia. Tbilisi: Meridiani, pp. 426-427. (in Georgian)
38. Article 79, Law of Georgia Criminal Code of Georgia. The Notifications of Parliament, 22/07/1999, # 2287. (in Georgian)
39. Todua, N. and others. 2016. Liberalization Trends of Criminal Law Legislation in Georgia. Tbilisi: Meridiani, pp. 429-430. (in Georgian)
40. Gvenetadze, N. and others, 2007. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: Meridiani, pp. 393-394. (in Georgian)
41. Todua, N. and others, 2016. Liberalization Trends of Criminal Law Legislation in Georgia. Tbilisi: Meridiani, p. 382. (in Georgian)
42. Dvalidze, I., 2013. The General Part of Criminal Law, Punishment and Other Legal Results of Criminal Law. Tbilisi: Meridiani, p. 131. (in Georgian)